



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

“**ფ ა მ ტ ბ ი ც ე ბ**”

ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი

თორნიკე შერმადინი

„----08---“-----09-----“ 2016 წელი

ფზ N2

სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“

შესაბამისობის აუდიტის ანგარიში N47/36

2012, 2013 და 2014 დასრულებული წლებისათვის

შინაარსი

შემაჯამებელი მიმოხილვა.....	3
რეკომენდაციები.....	4
აუდიტის მიზანი.....	5
აუდიტის მასშტაბი.....	5
ზოგადი მიმოხილვა.....	7
შემოსავლები	7
შრომის ანაზღაურების ხარჯი	11
მივლინების ხარჯები	13
შესყიდვები.....	13
გასაცემი დივიდენდები	16
სასაქონლო-მატერიალური მარაგები.....	16
ობლიგაციებით მოზიდული სახსრების განკარგვა	18

შემაჯამებელი მიმოხილვა

ბუნებრივი გაზის მოხმარების ფაქტობრივი მონაცემები არ არის შესაბამისობაში ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის ბრძანებით დამტკიცებულ ბუნებრივი გაზის ბალანსების მონაცემებთან.

პროდუქციის წილობრივი განაწილების ხელშეკრულების ფარგლებში, 2012-2014 წლებში მოპოვებულია 34,055,210 მ³ მომყოლი გაზი, საიდანაც საოპერაციო მოხმარებისთვის გაიხარჯა 1,498,462 მ³, სასაქონლო სახე მიეცა 21,073,880 მ³ გაზს, ხოლო დანარჩენი გაფრქვეულია ან/და დამწვარია ჩირაღდანზე.

„ჯახუნდერი-ლალხორი-იფარი-მესტიის“ და „იფარი თეთნულდის“ მიმართულებით, 110 და 35 კვ. ელექტროგადამცემი ხაზებისა და ქვესადგურების მშენებლობასთან დაკავშირებით ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური კვლევის მონაცემების საფუძველზე, ელექტროგადამცემი ხაზის საყრდენების განთავსების ზოლში (20.7 კმ), VII კატეგორიის გრუნტის გავრცელება საერთოდ არ დაფიქსირდა. აღნიშნულის მიუხედავად, ხარჯთაღრიცხვასა და შესრულებულად ნაჩვენებ სამუშაოებში ასახულია 248,283 მ³ VII კატეგორიის გრუნტის მოჭრა და გადაადგილება, რაც საერთო მოცულობის 68%-ია. VII კატეგორიის გრუნტის მოჭრისა და გადაადგილების სამუშაოების ღირებულებამ 3,911,709 ლარი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ VII კატეგორიის გრუნტის მოჭრისა და გადაადგილების სამუშაოების ღირებულება მინიმუმ 3-ჯერ აღემატება ყველა სხვა დანარჩენ კატეგორიის გრუნტებთან დაკავშირებულ სამუშაოების ღირებულებას.

შპს „ნიუ ენერჯიმ“ სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციას“ არ წარუდგინა ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია 2,222,780 ლარზე, რის გამოც 2012 წელს კორპორაციამ ვერ აინაზღაურა ხელშეკრულების შეუსრულებლობით მიყენებული ფინანსური ზიანი.

2014 წელს კორპორაციის კუთვნილი ავტომობილების დაზღვევაზე გამოცხადებულ ტენდერში სატენდერო კომისიამ არ მოითხოვა გამარჯვებული პრეტენდენტისგან სატენდერო განაცხადით გათვალისწინებული საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა. კომისიის მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში პრეტენდენტი კანონმდებლობის¹ შესაბამისად დაექვემდებარებოდა დისკვალიფიკაციას.

2012 წელს შპს „სერვისკომთან“ გაფორმებული ხელშეკრულებები მონეტარული ზღვრების გაუთვალისწინებლად განხორციელებულია გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

2012-2014 წლებში კორპორაციის მიერ სამაშველო რაზმის დასაფინანსებლად გაწეულია 3,784,339 ლარის ხარჯი. რაზმის ერთ-ერთი ფუნქციაა გაზსადენი სისტემის, ნავთობსადენების და ნავთობის საბადოების პატრულირება და უკანონო მიერთებების აღმოჩენა. აღსანიშნავია, რომ არც ერთი გაზსადენი და ნავთობსადენი კორპორაციის ექსპლუატაციაში არ არის, ამიტომ კორპორაციის მიერ გაწეული ხარჯი არ არის მიზანშეწონილი.

კორპორაციამ ლონდონის საფონდო ბირჟაზე გამოშვებული ობლიგაციებით მოიზიდა 250,000,000 აშშ დოლარი, რომლის მიზნობრიობასაც წარმოადგენდა „ნამახვანის“ ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა. კორპორაციამ აღნიშნული თანხიდან 28,500,000 აშშ დოლარი გადაასესხა შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიუროზე“, რაც ეწინააღმდეგებოდა ობლიგაციების მიზნობრიობას.

¹ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 07.04.2011წ. №9 ბრძანების „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი.

რეკომენდაციები

რეკომენდაცია N1 - საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ, ბუნებრივი გაზის ეფექტურად და რაციონალურად გამოყენების მიზნით, განახორციელოს სისტემატური მონიტორინგი ბუნებრივი გაზის დამტკიცებულ ბალანსში მოცემული პარამეტრების შესრულების უზრუნველსაყოფად. მიმწოდებლების, ლიცენზიატებისა და პირდაპირი მომხმარებლების მიერ ბალანსის პარამეტრების შესრულების დაცვის მიზნით განსაზღვროს კონკრეტული ვალდებულებები და პასუხისმგებლობები.

რეკომენდაცია N2 - გაზის მოპოვებიდან მისაღები შემოსავლების ოპტიმიზაციისა და გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილების მიზნით, სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციამ“ იმოქმედოს საქართველოს კანონის „ნავთობისა და გაზის შესახებ“ და კონტრაქტორთან გაფორმებული ხელშეკრულებების მოთხოვნების დაცვით. თუ კორპორაცია და კონტრაქტორი შეთანხმდებიან, რომ ჭარბ მომყოლ გაზს არ აქვს კომერციული ღირებულება, მაშინ შემუშავდეს გაზის უტილიზაციის გეგმა და ბუნებრივი გაზის უტილიზაცია მოხდეს ხელახალი ჩაჭირხვნის, აორთქლების, აალების ან დამტკიცებული უტილიზაციის გეგმით გათვალისწინებული რომელიმე სხვა გზით.

რეკომენდაცია N3 - სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციამ“, ხარჯების მიზნობრიობის და ოპტიმიზაციის მიზნით, განიხილოს სწრაფი რეაგირების სამაშველო რაზმის დაფინანსების მიზანშეწონილობის საკითხი.

რეკომენდაცია N4 - ბალანსზე რიცხული და ერთ წელზე დიდი ხნის განმავლობაში გამოუყენებელი სასაქონლო მატერიალური მარაგების ეფექტიანად მართვის უზრუნველყოფის მიზნით სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციამ“ განახორციელოს მაგისტრალური გაზსადენების ნორმალური ფუნქციონირებისათვის აუცილებელი საავარიო მარაგების იდენტიფიცირება, დასაწყობება და მოვლა შენახვა, ხოლო დანარჩენ მარაგებთან მიმართებაში იმსჯელოს მათი რეალიზაციის მიზანშეწონილობის შესახებ.

რეკომენდაცია N5 - სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციამ“ სასაქონლო მატერიალური მარაგების შესყიდვისთვის დაგეგმოს შესაძენი მარაგების რაოდენობა საჭიროებიდან გამომდინარე. აღნიშნულის შედეგად კორპორაციაში აღარ იარსებებს გამოუყენებელი მარაგები, რაც უზრუნველყოფს რესურსების ეფექტიან გამოყენებას.

რეკომენდაცია N6 - სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციამ“ უზრუნველყოს GPS სისტემის მონაცემების შენახვა ორგანიზაციაში მოქმედი დაარქივების წესის შესაბამისად, რათა შესაძლებელი იყოს საწვავის ხარჯის მიზნობრიობის დადასტურება.

აუდიტის მიზანი

სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ (შემდგომში კორპორაცია) 2012, 2013 და 2014 წლებში გაწეული საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის მიზნებია:

ა) დასკვნის ჩამოყალიბება, საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების გზით, იმის შესახებ თუ რამდენად შესაბამისობაშია აუდიტის საგანთან დაკავშირებული ინფორმაცია სათანადო კრიტერიუმთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

ბ) აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებისათვის, აუდიტის მასშტაბიდან გამომდინარე, ინფორმაციის მიწოდება მიგნებების, დასკვნების და სადაც შესაფერისია - რეკომენდაციების შესახებ.

აუდიტის მასშტაბი

აუდიტის საგანი

აუდიტის საგნად განისაზღვრა:

- კორპორაციის ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული 2012, 2013 და 2014 წლების ბიუჯეტის (ბიზნეს გეგმების) პროექტების მომზადება;
- კორპორაციის ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული შემოსავლებისა და ხარჯების ბიუჯეტის განხილვა და დამტკიცება;
- შემოსავლებისა და ხარჯების ფაქტობრივი შესრულება;
- შემოსავლებისა და ხარჯების ფაქტობრივი შესრულების მდგომარეობის შესახებ ანგარიშგება.

კრიტერიუმები

აუდიტის ძირითად კრიტერიუმებად განისაზღვრა შემდეგი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ნორმები:

- საქართველოს კანონი „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“;
- საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2012 წლის 25 იანვრის N20, 2013 წლის 8 იანვრის N3 და 2013 წლის 26 დეკემბრის N176 ბრძანებები 2012, 2013 და 2014 წლების ბუნებრივი გაზის ბალანსის დამტკიცების შესახებ;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის N220 ბრძანება „დაქირავებულისათვის გადახდილი სამივლინებო ხარჯების ნორმების განსაზღვრის შესახებ“;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანება „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2006 წლის 29 დეკემბრის N114 ბრძანებით დამტკიცებული „ბუნებრივი გაზის ბაზრის წესები“;
- კორპორაციის დირექტორთა საბჭოს დადგენილებით დამტკიცებული დებულება;
- საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის მიერ 2011 წლის 14 სექტემბრის N185 ბრძანებით დამტკიცებული კორპორაციის წესდება;
- პროდუქციის წილობრივი განაწილების ხელშეკრულებები (პწგხ);
- ლონდონის საფონდო ბირჟაზე გამოშვებული 250,000,000 აშშ დოლარის ღირებულების ობლიგაციების შესახებ ხელშეკრულება.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

კორპორაციის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე. კორპორაციის ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმდაგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშეუსაბამობებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია, აუდიტის ანგარიშში ასახული გარემოებების სისწორესა და მიზანშეწონილობაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (ISSAI 4100), რომელიც მოიცავს შესაბამისობის აუდიტის ჩატარებას, განცალკევებით ფინანსური ანგარიშგების აუდიტისაგან.

აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ კორპორაციის 2012, 2013 და 2014 წლების საქმიანობა არ შეიცავს მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს.

აუდიტორული პროცედურები წარიმართა აუდიტორის პროფესიულ მსჯელობებზე დაყრდნობით, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან კანონშეუსაბამობების რისკებზე, რომელიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. მიგვაჩნია, რომ ჩატარებული აუდიტორული პროცედურები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია აუდიტორული დასკვნის გამოსატანად.

აუდიტის ანგარიშის ფორმა

შესაბამისობის აუდიტის ანგარიში შედგენილია უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI 4100) მოთხოვნების მიხედვით - „ანგარიში ვრცელი ფორმით“. აღნიშნული გულისხმობს აუდიტის შედეგებისა და გამოვლენილი გარემოებების უფრო დეტალურ განხილვას, რაც ეხმარება აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებს საკითხების ყოველმხრივ გაგებასა და მასზე დაყრდნობით ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებაში.

ზოგადი მიმოხილვა

შპს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“ დაფუძნდა საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2006 წლის 21 მარტის ბრძანების საფუძველზე, სახელმწიფოს 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით. შპს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“ გახდა სს „საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციის“ და სს „საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის“ სამართალმემკვიდრე.

2010 წლის 30 ნოემბრამდე კორპორაციის პარტნიორის უფლებამოსილებებს ახორციელებდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მმართველობით სისტემაში შემავალი სსიპ „საწარმოთა მართვის სააგენტო“. საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებისა² და ენერგეტიკის სამინისტროსა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე კორპორაციის 100% წილი მართვის უფლებით გადაეცა საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს.

2010 წლის 5 სექტემბერს განხორციელდა შპს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ რეორგანიზაცია. კომპანიამ შეიცვალა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა და ჩამოყალიბდა სააქციო საზოგადოებად.

საქართველოს მთავრობამ³ მიიღო გადაწყვეტილება სს „საპარტნიორო ფონდის“ კაპიტალში კორპორაციის წილის 14%-ის ინვესტირების შესახებ. ამავე დადგენილებაში შეტანილი ცვლილებით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სს „საპარტნიორო ფონდის“ კაპიტალში კორპორაციის წილის 24%-ის შეტანის შესახებ.

მთავრობის ზემოხსენებული დადგენილებების გათვალისწინებით, 2011 წლის 15 სექტემბერს ცვლილებები შევიდა პრეზიდენტის განკარგულებაში⁴. ცვლილების შედეგად ენერგეტიკის სამინისტროს მართვის უფლებით გადაეცა კორპორაციის 76%. აღნიშნულის გათვალისწინებით, 2011 წლის 21 სექტემბერს ცვლილება შევიდა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების და ენერგეტიკის სამინისტროებს შორის გაფორმებულ აქციებისა და წილთა მართვის უფლებით გადაცემის შესახებ ხელშეკრულებაშიც.

მთავრობის დადგენილებით⁵ სს „საპარტნიორო ფონდის“ კაპიტალში მოხდა კორპორაციის აქციების 100%-ის შეტანა.

2012 წლის 31 აგვისტოს ენერგეტიკის სამინისტროს და სს „საპარტნიორო ფონდის“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად კორპორაციის აქციების 100% მართვის უფლებით გადაეცა ენერგეტიკის სამინისტროს.

შემოსავლები

კორპორაციას 2012, 2013 და 2014 წლებში სულ მიღებული აქვს 1,201,747,685 ლარის შემოსავალი. მათ შორის საოპერაციო შემოსავლებმა შეადგინა 988,320,290 ლარი, ხოლო არასოპერაციო შემოსავლებმა 213,427,395 ლარი:

² საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 10 ნოემბრის N1051 განკარგულება

³ 2011 წლის 2 ივნისის N230 დადგენილება

⁴ 2010 წლის 10 ნოემბრის N1051 განკარგულება

⁵ 2012 წლის 2 ივლისის N232 დადგენილება

საოპერაციო შემოსავლები	2012	2013	2014
გაზის რეალიზაცია	230,130,998	238,309,162	267,190,425
პწგზ-გაზის რეალიზაცია	2,271,212	2,310,447	2,600,232
პწგზ-ნავთობის რეალიზაცია	15,711,928	30,523,711	23,584,683
შემოსავალი ტრანზიტადან	11,562,146	11,951,622	13,652,559
მაგისტრალის იჯარა	39,591,720	42,665,772	50,784,672
სხვა საოპერაციო შემოსავლები	2,001,155	2,077,010	1,400,835
სულ საოპერაციო შემოსავალი	301,269,160	327,837,724	359,213,406

არასაოპერაციო შემოსავლები	2012	2013	2014
ბანკის მიერ დარიცხული % (საკრედიტო ნაშთზე)	22,109,926	24,448,184	15,336,335
გაცემულ სესხებზე დარიცხული %	4,024,481	13,489,495	25,205,153
მომხმარებლებზე დარიცხული პირგასამტეხლო	8,347,457	10,161,486	9,119,116
ვალუტის გადაფასება/საკურსო სხვაობა	8,819,632	24,552,888	35,128,847
შემოსავალი ლიზინგიდან	2,807,743	2,982,330	3,176,182
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	1,155,335	1,916,976	645,828
სულ არასაოპერაციო შემოსავალი	47,264,575	77,551,359	88,611,461

კორპორაციის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, 2012-2014 წლების განმავლობაში მიღებული გაზის მოცულობები წყაროების მიხედვით და ასევე დეფიციტის შევსების შედეგად წარმომოხილი დავალიანებების დასაფარავად დაბრუნებული გაზის მოცულობები (მ³) წარმოდგენილია ცხრილის სახით:

ქართული გაზი	2012	2013	2014	სულ 2012-2014
დამატებითი გაზი	510,196,610	500,010,916	503,143,841	1,513,351,367
ოზგიური გაზი	207,219,638	177,341,847	182,878,239	567,439,724
ტრანზიტის საფასური	213,842,520	183,538,091	248,890,213	646,270,824
სოკარიდან შესყიდული	206,395,202	293,940,752	291,951,707	792,287,661
ჯამი ქართული გაზი	1,137,653,970	1,154,831,606	1,226,864,000	3,519,349,576
სოკარ გაზ ექსპორტ-იმპორტის მიერ იმპორტირებული გაზი	257,214,843	90,916,595	121,202,975	469,334,413
ჯამი	1,394,868,813	1,245,748,201	1,348,066,975	3,988,683,989
კომერციული გაზის რეალიზაცია	-	12,398,099	-	12,398,099
იმპორტ. გაზის დაბრუნება.	164,734,251	154,567,666	118,940,856	438,242,773

2012-2014 წლებში გაზის მოხმარების მოცულობები (მ³) საყოფაცხოვრებო სექტორში და ენერგოგენერაციის ობიექტებზე წარმოდგენილია ცხრილის სახით:

მოხმარება	2012	2013	2014	სულ 2012-2014
ენერგოგენერაცია	701,500,167	504,501,795	574,579,626	1,780,581,588
მტკვარი-ენერგეტიკა	318,741,328	243,257,738	332,587,451	894,586,517
თბილისრესი	345,595,169	253,576,245	229,438,583	828,609,997
ჯი-ფაუერი (ტურბინა)	37,163,670	7,667,812	12,553,592	57,385,074
საყოფაცხოვრებო	528,634,395	574,280,641	654,546,492	1,757,461,528
ყაზტრანსგაზი- თბილისი	331,394,410	354,769,550	391,490,634	1,077,654,594
იტერა- საქართველო	126,544,185	78,688,600	29,446,060	234,678,845
სსევი	4,482,088	4,765,872	5,280,353	14,528,313
ვისოლ-პეტროლიუმი	5,437,180	6,065,870	7,603,553	19,106,603
სოკარ ჯეოროჯია გაზი	60,776,532	127,218,518	215,992,018	403,987,068
საქორგაზი		2,772,231	4,733,874	7,506,105
ჯამი	1,230,134,562	1,078,782,436	1,229,126,118	3,538,043,116

ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის ბრძანებით ყოველწლიურად მტკიცდება ბუნებრივი გაზის ბალანსები. 2006 წლის 29 დეკემბერის საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის ბრძანებით⁶ ბუნებრივი გაზის დამტკიცებულ ბალანსში მოცემული პარამეტრები მიმწოდებლების, ლიცენზიატებისა და პირდაპირი მომხმარებლებისათვის შესასრულებლად სავალდებულოა. ბალანსის მონაცემების ფაქტობრივ მონაცემებთან შედარების შედეგად გამოვლინდა სხვაობები.

ბალანსებსა და ფაქტობრივ მონაცემებს შორის სხვაობები წლების ჭრილში მოცემულია ცხრილის სახით (1000 მ³):

მოხმარება	2012			2013			2014		
	ბალანსი	ფაქტი	ფაქტ - ბალ	ბალანსი	ფაქტი	ფაქტ - ბალ	ბალანსი	ფაქტი	ფაქტ - ბალ
ენერგოგენერაცია	463,750	701,500	237,750	799,059	504,502	(294,557)	650,127	574,580	(75,547)
მტკვ-ენერგეტიკა	323,000	318,741	(4,259)	406,059	243,258	(162,801)	340,227	332,587	(7,640)
თბილსრესი	123,000	345,595	222,595	363,000	253,576	(109,424)	303,000	229,439	(73,561)
ჯ-ფაუერი (ტურბ.)	17,750	37,164	19,414	30,000	7,668	(22,332)	6,900	12,554	5,654
საყოფაცხოვრებო	472,900	528,634	55,734	561,400	574,282	12,882	567,638	654,546	86,908
ყაზტრანსგაზი	307,000	331,394	24,394	345,000	354,770	9,770	342,000	391,491	49,491
იტერა- საქართვ.	104,500	126,544	22,044	128,100	78,689	(49,411)	26,800	29,446	2,646
სსეკი	4,750	4,482	(268)	5,600	4,766	(834)	5,440	5,280	(160)
ვისოლ-პეტროლ.	4,150	5,437	1,287	6,100	6,066	(34)	6,050	7,604	1,554
სოკარ ჯორჯ. გაზი	52,500	60,777	8,277	76,600	127,219	50,619	183,594	215,991	32,397
საქოეგაზი	0	0	0	0	2,772	2,772	3,754	4,734	980
ჯამი	936,650	1,230,134	293,484	1,360,459	1,078,784	(281,675)	1,217,765	1,229,126	11,361

კორპორაციას ასევე არ შეუძრულებია „ბუნებრივი გაზის ბაზრის წესებით“⁷ განსაზღვრული მოთხოვნა, რომელიც ითვალისწინებს მოქმედ ბალანსთან შედარებული, გასული წლის 1 ნოემბრიდან მიმდინარე წლის 1 სექტემბრამდე ფაქტობრივი და მიმდინარე წლის 1 სექტემბრიდან 1 ნოემბრამდე საორიენტაციო მონაცემების შესახებ ინფორმაციის ენერგეტიკის სამინისტროში წარდგენას 10 სექტემბრამდე.

„სოკარ გაზ ექსპორტ-იმპორტთან“ გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად მხარეები სოციალურ გაზზე, შემდეგი თვის განმავლობაში მოსალოდნელი მოთხოვნის დადგენის მიზნით, კონკრეტული თვის დასრულებამდე წარადგენენ სოციალური გაზის სავარაუდო თვიურ მოთხოვნას. „სოკარ გაზ ექსპორტ-იმპორტის“ მიერ წარმოდგენილი მოთხოვნების ფაქტობრივ მოხმარებასთან შედარების შედეგად გამოვლინდა ისეთი შემთხვევები, როდესაც გაზის მოწოდებაზე მოთხოვნა საერთოდ არ გაკეთებულა, ხოლო ფაქტობრივი მოხმარება ფიქსირდება. მაგალითად, შპს „ჯი-ფაუერს“ 2012 წლის მოთხოვნა გაკეთებული აქვს მხოლოდ იანვრის თვეში. მომდევნო თერთმეტი თვის მანძილზე მის მიერ მოხმარებულია 30,083 ათას მ³ გაზი მოთხოვნის გარეშე.

2013 წელს მოთხოვნა გაკეთდა მხოლოდ იანვარსა და თებერვალზე, ხოლო დანარჩენი 10 თვის განმავლობაში მოხმარებულ გაზზე მოთხოვნა არ გაკეთებულა.

⁶ 2006 წლის 29 დეკემბერის საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის ბრძანება №114 „ბუნებრივი გაზის ბაზრის წესების“ შესახებ
⁷ მე-13 მუხლის, მე-3 პუნქტის ბ) ქვეპუნქტი

2014 წელს მოთხოვნა საერთოდ არ გაკეთებულა, ხოლო მოხმარებამ 12,554 ათასი მ³ შეადგინა.

ქვემოთ მოცემულია 2012-2014 წლებში წარმოდგენილი მოთხოვნების ფაქტობრივად მოხმარებულ გაზის მოცულობებთან (1000 მ³) შედარება:

მოხმარება	2012			2013			2014		
	მოთხ	ფაქტი	ფაქტ - მოთხ	მოთხ	ფაქტი	ფაქტ - მოთხ	მოთხ	ფაქტი	ფაქტ - მოთხ
ენერგოგენერაცია	623,500	701,500	78,000	628,800	504,502	(124,298)	642,200	574,580	(67,620)
მტკვარი-ენერგ.	313,500	318,741	5,241	313,300	243,258	(70,042)	339,500	332,587	(6,913)
თბილისრესი	304,000	345,595	41,595	299,000	253,576	(45,424)	302,700	229,439	(73,261)
ჯ-ფაქტორი (ტურბ.)	6,000	37,164	31,164	16,500	7,668	(8,832)	0	12,554	12,554
საყოფაცხოვრებო	532,558	528,634	(3,924)	546,908	574,282	27,374	634,290	654,546	20,256
ყაზტრანსგაზი	328,400	331,394	2,994	335,500	354,770	19,270	376,500	391,491	14,991
იტერა- საქართვე.	133,200	126,544	(6,656)	88,000	78,689	(9,311)	25,200	29,446	4,246
სსეკი	4,413	4,482	69	4,720	4,766	46	4,869	5,280	411
ვისოლ-პეტროლ.	3,745	5,437	1,692	4,520	6,066	1,546	5,500	7,604	2,104
სოკარ ჯორჯია გაზი	62,800	60,777	(2,023)	111,815	127,219	15,404	218,450	215,991	(2,459)
საქორგაზი	0	0	0	2,353	2,772	419	3,771	4,734	963
ჯამი	1,156,058	1,230,134	74,076	1,175,708	1,078,784	(96,924)	1,276,490	1,229,126	(47,364)

აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ნავთობის კომპანია “სოკართან” გაფორმებული გაზის შესყიდვის ხელშეკრულების⁸ შესაბამისად, კორპორაციამ არაუგვიანეს ყოველი თვის 25 რიცხვისა, უნდა დაასახელოს გაზის ის მოცულობა, რომელიც სოკარმა უნდა მიაწოდოს შემდეგ თვეს. კომპანიამ ვერ წარმოადგინა 2014 წლის აგვისტოს თვის განაცხადი, თუმცა შესაბამის პერიოდში შესყიდული გაზის მოცულობამ 16 მილიონი მ³ შეადგინა.

რეკომენდაცია N1

საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ, ბუნებრივი გაზის ეფექტურად და რაციონალურად გამოყენების მიზნით, განახორციელოს სისტემატური მონიტორინგი ბუნებრივი გაზის დამტკიცებულ ბალანსში მოცემული პარამეტრების შესრულების უზრუნველსაყოფად. მიმწოდებლების, ლიცენზიატებისა და პირდაპირი მომხმარებლების მიერ ბალანსის პარამეტრების შესრულების დაცვის მიზნით განსაზღვროს კონკრეტული ვალდებულებები და პასუხისმგებლობები.

მოპოვებული ნავთობი და გაზი

პროდუქციის წილობრივი განაწილების ხელშეკრულებების (პწგბ) ფარგლებში, 2012-2014 წლებში მოპოვებული იქნა 139,472 ტონა ნავთობი, სასაქონლო სახე მიეცა 135,278 ტონა ნავთობს, სადაც კორპორაციის წილმა 58,502 ტონა შეადგინა.

2012-2014 წლებში 14 საბადოზე 5 კომპანიის მიერ მოპოვებულია 34,055,210 მ³ მომყოლი გაზი, საიდანაც საოპერაციო მოხმარებისთვის გაიხარჯა 1,498,462 მ³, სასაქონლო სახე მიეცა 21,073,880 მ³ გაზს, ხოლო დანარჩენი გაფრქვეულია ან/და დამწვარია ჩირაღდანზე.

⁸ გაზის ნასყიდობის ხელშეკრულება მუხლი 6¹ და 6²

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ პწგ-ს შესაბამისად თუ ერთ-ერთი მხარე მოპოვებულ ბუნებრივ გაზს მიიჩნევს არაკომერციულად, ხოლო მეორე მხარე მიიჩნევს, რომ მისთვის ეს მოცულობა შესაძლებელია კომერციული იყოს, ამ უკანასკნელს ენიჭება მთლიანი მოცულობის განკარგვის უფლება. კორპორაციამ ვერ წარმოადგინა ვერც კონტრაქტორის და ვერც საკუთარი დასკვნა გაზის კომერციულობის შესახებ, ასევე ვერ იქნა წარმოდგენილი გაზის უტილიზაციის გეგმები.

რეკომენდაცია N2

გაზის მოპოვებიდან მისაღები შემოსავლების ოპტიმიზაციისა და გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილების მიზნით, სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციამ“ გაატაროს მეტი ქმედითი ღონისძიებები საქართველოს კანონის „ნავთობისა და გაზის შესახებ“ და კონტრაქტორთან გაფორმებული ხელშეკრულებების მოთხოვნების შესასრულებლად. თუ კორპორაცია და კონტრაქტორი შეთანხმდებიან, რომ ჭარბ მომყოლ გაზს არ აქვს კომერციული ღირებულება, მაშინ შემუშავდეს გაზის უტილიზაციის გეგმა და ბუნებრივი გაზის უტილიზაცია მოხდეს ხელახალი ჩაჭირხვნის, აორთქლების, აალების ან დამტკიცებული უტილიზაციის გეგმით გათვალისწინებული რომელიმე სხვა გზით.

შრომის ანაზღაურების ხარჯი

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია კორპორაციის მიერ 2012-2014 წლებში დაქირავებულთათვის ანაზღაურებული ხელფასი და პრემია.

კორპორაციის თანამშრომლები	დასაქმებულთა რაოდენობა (საშუალო)	ხელფასი	პრემია	პრემია/ ხელფასი
2012 წელი				
გენ. დირექტორატი	5	683,954	288,124	42%
სხვა დანარჩენი	362	5,622,813	937,660	17%
2013 წელი				
გენ. დირექტორატი	7	446,456	97,500	22%
სხვა დანარჩენი	279	4,922,203	829,665	17%
2014 წელი				
გენ. დირექტორატი	7	662,156	133,400	20%
სხვა დანარჩენი	335	5,900,927	1,088,120	18%

გენერალური დირექტორისა და ფინანსურ, კომერციულ და ტექნიკურ საკითხებში ხელმძღვანელთა შრომის ანაზღაურებები 2012 წელს შეადგენდა შესაბამისად 13,200, 10,200 და 9,000 ლარს. 2013 წელს 12,500, 10,200 და 9,000 ლარს და 2014 წელს 12,500, 10,200 და 9,000 ლარს.

2012 წელს გენერალურ დირექტორსა და მის მოადგილეების პრემიებმა შეადგინა შესაბამისად 80,522, 62,200, 62,200 და 58,900 ლარი.

დებულებით გათვალისწინებული თანამდებობები

კორპორაციის დებულებით, მრჩეველთა, გეოლოგების ფონდების, პერსპექტიული პროექტების, სტრატეგიული კვლევებისა და ანალიზის, და ტექნიკური მომსახურების ჯგუფები არ იყვნენ გათვალისწინებულნი. შესაბამისად, მათი ფუნქცია-მოვალეობებიც არ ყოფილა გაწერილი. 2012 წლის ცალკეულ თვეებში ზემოთ მითითებულ ჯგუფებში ხელშეკრულებით გაფორმებულ თანამშრომლებზე, ასევე კონსულტანტებზე კორპორაციის გენერალურ დირექტორატსა და

საგადასახადო საკითხებში, მოწვეულ სპეციალისტებზე, მრჩეველებსა და მთავრობასთან ურთიერთობის კოორდინატორზე დარიცხულ დიდი ოდენობით სახელფასო თანხებთან დაკავშირებით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის, საგამოძიებო დეპარტამენტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა სამმართველოს მიერ 2013 წელს აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. აღნიშნული სამმართველოს მიერ კორპორაციაზე მიმართვის წერილში⁹ მითითებულია, რომ „ამ ეტაპზე გამოვლენილია ათეულობით მოქალაქე, რომლებიც 2012 წლის ოქტომბრამდე გაფორმებული იყვნენ ნავთობისა და გაზის კორპორაციაში შრომითი ხელშეკრულებების საფუძველზე. მათ ერიცხებოდათ დიდი ოდენობით თანხები ხელფასის სახით ისე, რომ რეალურად ნავთობის კორპორაციაში არ უმუშავიათ.“ თუმცა, კორპორაციის ხელმძღვანელობის განმარტებით, „პერსპექტიული პროექტების ჯგუფის თანამშრომლების უფლება-მოვალეობები განისაზღვრებოდა შრომითი ხელშეკრულებებით და უშუალო უფროსის დავალებებით.“

სამაშველო რაზმის დასაფინანსებლად გაწეული ხარჯი

კორპორაციის დირექტორთა საბჭოს დადგენილებით¹⁰ დამტკიცდა შპს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ სწრაფი რეაგირების სამაშველო რაზმის დებულება, რომელშიც რაზმის ფუნქციად და ამოცანად განსაზღვრული იყო კორპორაციის კუთვნილი სტრატეგიული ობიექტების უსაფრთხოება, გაზსადენების სისტემის, ნავთობსადენებისა და ნავთობის საბადოების პატრულირება და უკანონო მიერთებების აღმოჩენა, სამაშველო რაზმის მუდმივ სადღეღამისო რეჟიმში მუშაობა და ა.შ.

2012-2014 წლებში ქვეყნის მაგისტრალური გაზსადენის ექსპლოატაციას შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია“ ახორციელებს¹¹. ხელშეკრულების შესაბამისად, სხვა ვალდებულებებთან ერთად, შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია“ ვალდებულია აწარმოოს მონიტორინგი მაგისტრალური გაზსადენისა და მასთან დაკავშირებული ობიექტების დაცვის ზონებში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი დაცვის წესის მოთხოვნების შესრულებასა და კანონმდებლობის დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში მიიღოს შესაბამისი ზომები მის აღსაკვეთად¹².

2012-2014 წლებში რაზმის დებულებაში მის ერთ-ერთ ძირითად ამოცანად მითითებული იყო ნავთობსადენებისა და ნავთობის საბადოების პატრულირება და უკანონო მიერთებების აღმოჩენა, თუმცა ამ კატეგორიის აქტივები კორპორაციას საერთოდ არ გააჩნია და შესაბამისად მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფა არ ევალება.

2012-2014 წლებში კორპორაციის მიერ გაწეულმა ანაზღაურებამ, შსს-ს რაზმის თანამშრომელთა სახელფასო ვალდებულებების, კვებითი და კომუნალური მომსახურების, მიმდინარე და კაპიტალური ხარჯების ნაწილში 3,784,339 ლარი შეადგინა.

რეკომენდაცია N3

სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციამ“, ხარჯების მიზნობრიობის და ოპტიმიზაციის მიზნით, განიხილოს სწრაფი რეაგირების სამაშველო რაზმის დაფინანსების მიზანშეწონილობის საკითხი.

⁹ 2013 წლის 11 მარტის #1821/15-04-01 მიმართვის წერილი

¹⁰ 2008 წლის 13 ივნისის N19 დადგენილება

¹¹ კორპორაციისა და გაზის ტრანსპორტირების კომპანიას შორის 2011 წლის 31 აგვისტოს გაფორმებული იჯარის ხელშეკრულება(N11-310811-01)

¹² ხელშეკრულების N3.4.6. პუნქტი

მივლინების ხარჯები

2012-2014 წლებში კორპორაციის 6 თანამშრომელზე მივლინებისთვის საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით¹³ დადგენილ ლიმიტს ზემოთ ანაზღაურებული თანხა - 3,212 ლარი, ანგარიშგებაში, ნაცვლად სახელფასო ხარჯისა, ასახულია მივლინების ხარჯში.

შესყიდვები

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2012-2014 წლებში განხორციელებული შესყიდვები:

წელი	ელექტრონული ტენდერი		გამარტივებული ელექტრონული ტენდერი		კონსოლიდირებული ტენდერი		გამარტივებული შესყიდვა		სულ		მ.შ. კანონი არ ვრცელდება	
	რ-ბა	თანხა	რ-ბა	თანხა	რ-ბა	თანხა	რ-ბა	თანხა	რ-ბა	თანხა	რ-ბა	თანხა
2012	4	2,847,411	80	1,328,881	1	728,000	374	8,372,983	459	13,277,275	155	2,750,358
2013	11	9,408,688	90	1,057,984	13	573,980	260	588,197	374	11,628,849	20	90,893
2014	13	21,134,919	80	1,307,263	11	452,065	191	2,114,883	296	25,012,877	-	-

ქვემოთ მოცემულია 2012-2014 წლებში განხორციელებულ შესყიდვები სახეების მიხედვით:

წელი	საქონელი		მომსახურება		სამუშაო		სულ	
	რ-ბა	თანხა	რ-ბა	თანხა	რ-ბა	თანხა	რ-ბა	თანხა
2012	195	4,751,515	245	6,742,153	19	1,783,607	459	13,277,275
2013	205	9,882,442	161	862,320	8	884,087	374	11,628,849
2014	155	14,996,059	127	1,777,537	14	8,239,281	296	25,012,877

ელექტროგადამცემი ხაზების და ქვესადგურების მშენებლობა

მთავრობის განკარგულებით¹⁴ სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციას“ დაევალა საკუთარი სახსრებით განხორციელებინა ჯახუნდერი-ლალხორი-იფარი-მესტიის და იფარი თეთნულდის მიმართულებით 110 და 35 კვ ელექტროგადამცემი ხაზებისა და ქვესადგურების მშენებლობა, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

მთავრობის განკარგულების შესაბამისად, კორპორაციამ ხელშეკრულება¹⁵ გააფორმა შპს „ნიუ ენერჯისთან“, რომლის ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 44,455,603 ლარი, ხოლო აღნიშნულ მშენებლობებზე ნებართვები, მესტიისა და ლენტეხის ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ გაიცა მშენებლობის დამთავრების შემდგომ 2012 წლის 18 და 19 ოქტომბერს.

შპს „ნიუ ენერჯმა“ დაარღვია ხელშეკრულების 32-ე პუნქტისა და შესყიდვების კანონმდებლობის¹⁶ მოთხოვნა და კორპორაციას არ წარუდგინა ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის უპირობო და გამოუთხოვადი საბანკო გარანტია 2,222,780 ლარზე. აღნიშნულის შედეგად, 2012 წელს ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, შპს „ნიუ ენერჯთან“ ხელშეკრულების გაწყვეტის შემდეგ, კორპორაციამ ვერ შეძლო, ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შედეგად, მისთვის

¹³ „დაქირავებისათვის გადახდილი სამივლინებო ხარჯების განსაზღვრის ნორმების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის N220 ბრძანების პირველი და მეორე მუხლის „ბ“ პუნქტი და მე-4 მუხლი.

¹⁴ 2011 წლის 16 მარტის #586 და 2011 წლის 24 მაისის #1119 განკარგულებები

¹⁵ 2011 წლის 24 მაისის #1119 განკარგულების მე-5 პუნქტი

¹⁶ კონტრაქტი #66-191011-01. 2011 წლის 19 ოქტომბერი.

¹⁷ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 3' პუნქტის მოთხოვნები.

მიყენებული ფინანსური ზიანის ანაზღაურება. მოცემულ საკითხთან დაკავშირებით 2013 წელს სასამართლოში შეტანილია სარჩელი.

კორპორაციასა და შპს „ნიუ ენერჯის“ შორის გაფორმებული მემორანდუმი¹⁷ ითვალისწინებდა, მხარეებს შორის ხელშეკრულების გაფორმებამდე, ელექტროგადამცემ ხაზებთან მისასვლელი გზის მოწყობასთან დაკავშირებული სამუშაოების ღირებულების დადასტურებას კომპეტენტური ექსპერტიზის დასკვნით. თუმცა, აღსანიშნავია, რომ პროექტი და ექსპერტიზის დასკვნა არ არის შესაბამისობაში სამშენებლო ნორმებსა და წესებთან. კერძოდ, პროექტის ხარჯთაღრიცხვაში 248,283 მ³ VII კატეგორიის გრუნტის დასამუშავებლად საჭირო ნორმატიული რესურსის 13,162 მანქანა საათის გაანგარიშება განხორციელებულია VI კატეგორიის გრუნტის 0.65მ³ ციცხვიანი ექსკავატორით დამუშავებისათვის დადგენილი ნორმით. ხოლო ნამუშევარი საათების ღირებულება ნაცვლად 48 ლარისა გათვალისწინებულია „ექსკავატორ კოდალასთვის“ განსაზღვრული საბაზრო ღირებულებით, 158 ლარით.

კორპორაციასა და შპს „ელ. ჯორჯია-2006-ს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების¹⁸ საფუძველზე შედგენილი მშენებლობის პროექტი, არ შეესაბამება ხელშეკრულების ტექნიკური დავალებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, კერძოდ:

- საყრდენებთან მისასვლელი გზის მოწყობის სამუშაოების მოცულობები არ დადასტურებულია შესაბამისი გაანგარიშებებით, სამუშაო გეგმებით, გრძივი და განივი პროფილებით;
- პროექტი არ დამუშავებულია საინჟინრო გეოლოგიური კვლევის მონაცემების საფუძველზე, რომელიც შპს „ელ. ჯორჯია-2006-ის“ დაკვეთით განახორციელა შპს „ახალმა საქალაქმშენპროექტმა“. გეოლოგიური კვლევების შედეგებით, საველე სამუშაოების მონაცემების საფუძველზე შედგენილია ჭაბურღილების გეოლოგიურ-ლითოლოგიური სვეტები და ჭაბურღილების მონაცემების მიხედვით, ტრასის ზოლის გრძივ პროფილზე დატანილია მთლიანი ზოლის გეოლოგიურ-ლითოლოგიური აგებულება.

გეოლოგიურ-ლითოლოგიური კვლევების შედეგების მიხედვით, დასტურდება, რომ ელექტროგადამცემი ხაზის საყრდენების განთავსების ზოლში (20.7 კმ), VII კატეგორიის გრუნტის გავრცელება საერთოდ არ ფიქსირდება. გეოლოგიური კვლევის შედეგებთან შეუსაბამოდ, პროექტის ხარჯთაღრიცხვაში გათვალისწინებულია 248,283 მ³ VII კატეგორიის გრუნტის მოჭრა და გადაადგილება, რაც, პროექტის ხარჯთაღრიცხვით, გზის მოწყობის სამუშაოებზე სულ მოსაჭრელად გათვალისწინებული ყველა კატეგორიის გრუნტის საერთო მოცულობის (364,827მ³) 68%-ია.

პროექტის ხარჯთაღრიცხვით, VII კატეგორიის გრუნტის მოჭრისა და გადაადგილების სამუშაოების ღირებულებად (დღგ-ს ჩათვლით) განისაზღვრა 3,911,709 ლარი, მათ შორის გრუნტის ექსკავატორით დამუშავებისთვის 2,944,291 ლარი, ხოლო დამუშავებული გრუნტის ბულდოზერით 10 მეტრზე გადაადგილებისთვის 967,418 ლარი. აღსანიშნავია, რომ VII კატეგორიის გრუნტის მოჭრისა და გადაადგილების სამუშაოების ღირებულება მინიმუმ 3-ჯერ აღემატება ყველა სხვა დანარჩენ კატეგორიის გრუნტებთან დაკავშირებულ სამუშაოებს. შესაბამისად, ხარჯთაღრიცხვით VII კატეგორიის გრუნტის მოჭრისა და გადაადგილების სამუშაოებისთვის გათვალისწინებული 3,911,709 ლარიდან უდიდესი ნაწილი ზედმეტად გადახდილს წარმოადგენს.

ამასთან, ფარული სამუშაოების აქტებზე, შპს „ნიუ-ენერჯის“ და კორპორაციის წარმომადგენლების ხელმოწერის გასწვრივ არც ერთ ანგარიშზე არ ფიქსირდება ხელმომწერი პირების გვარები, რაც

¹⁷ 2011 წლის 17 მაისს

¹⁸ 2011 წლის 29 აპრილს კორპორაციასა და შპს „ელ. ჯორჯია-2006“-ს შორის გაფორმებული N56-290411-09 ხელშეკრულება.

შეუძლებელს ხდის ხელმომწერთა იდენტიფიცირებას. ყველა ფარული სამუშაოს აქტი შედგენილია მხარეებს შორის ხელშეკრულების გაფორმებამდე და შესაბამისი ისპექტირების ჯგუფის შექმნამდე. ინსპექტირების ჯგუფი შეიქმნა გენერალური დირექტორის ბრძანებით¹⁹.

სსიპ „ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ მიერ საბოლოო დასკვნაში ფარული სამუშაოების მოცულობები გათვალისწინებულ იქნა ფარული სამუშაოს აქტებში ასახული მოცულობების შესაბამისად და ფაქტობრივი მდგომარეობით. საყრდენებთან მისასვლელი გზების მოწყობაზე მოჭრილად და გადაადგილებულად ნაჩვენები გრუნტის რეალური მოცულობის დადგენა კი არ განხორციელებულა.

მომწოდებლის მიერ შედგენილ შესრულებული სამუშაოების საბოლოო აქტში შესრულებულად ნაჩვენებია და ანაზღაურებულია გრუნტის გადაადგილებისა (558,672 მ3) და მოჭრის (546,174 მ3) ღირებულება. აღნიშნული არ არის შესაბამისობაში, ფარული სამუშაოების აქტებში, ასევე ფორმა N2-ებში გამოყენებულად ნაჩვენებ მანქანა-მექანიზმების მაქსიმალურ ტექნიკურ შესაძლებლობებთან, კერძოდ:

- ფარული სამუშაოების აქტების მიხედვით გამოყენებულად ნაჩვენებ ექსკავატორებსა და ე.წ. „კოდალას“ მუდმივ განუწყვეტელი 24 საათიან რეჟიმში მუშაობის შემთხვევაში შეედლოთ განხორციელებინათ მხოლოდ 315,548 მ3 გრუნტის მოჭრა, რაც ფაქტობრივად შესრულებულად ნაჩვენებ მოცულობასთან 546,174 მ3 შედარებით 230,626 მ3-ით ნაკლებია.

- ასევე, ფარული სამუშაოების აქტებში 558,672 მ3 გრუნტის გადასადგილებლად, გამოყენებულად ნაჩვენებ ბუღდოზერებს მუდმივ განუწყვეტელი 24 საათიან რეჟიმში მუშაობის პირობებში შეედლოთ დაემუშაებინათ და გადაადგილებინათ 375,774 მ3 გრუნტი, რაც შესრულებულად ნაჩვენებ მოცულობასთან შედარებით 182,898 მ3-ით ნაკლებია.

სატენდერო კომისიის საქმიანობის ნაკლოვანება

2014 წლის 7 თებერვალს შპს „დაზღვევის საერთაშორისო კომპანია ირაოსთან“ ელექტრონულ ტენდერში გამარჯვების საფუძველზე გაფორმდა ხელშეკრულება კორპორაციის კუთვნილი ავტომანქანების დაზღვევაზე, თანხით 59,448 ლარი. სატენდერო კომისიამ არ მოითხოვა გამარჯვებული პრეტენდენტისგან სატენდერო განაცხადით გათვალისწინებული საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა. კომისიის მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში პრეტენდენტი კანონმდებლობის²⁰ შესაბამისად დაექვემდებარებოდა დისკვალიფიკაციას.

შესყიდვა მონეტარული ზღვრების გაუთვალისწინებლად

2012 წელს შპს „სერვისკომისგან“ შეძენილია 6 ცალი მობილური ტელეფონი „ბლეებერი“, მთლიანი ღირებულებით 7,062 ლარი. კანონმდებლობის შესაბამისად, აღნიშნული შესყიდვა, ნაცვლად გამარტივებული შესყიდვისა, უნდა განხორციელებულიყო გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით²¹.

¹⁹ 2011 წლის 19 ოქტომბრის N06-1910/1 ბრძანება

²⁰ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 07.04.2011წ. №9 ბრძანების „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი.

²¹ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ მუხლი 10⁷.

გასაცემი დივიდენდები

სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით მოქმედ საწარმოებში წმინდა მოგების განაწილებისა და გამოყენების შესახებ წინადადებების განხილვისა და გადაწყვეტილებების მიმღები კომისიის ოქმის²² მიხედვით, კორპორაციის 2010 წლის არაუდირებული 45,000,000 ლარი ოდენობის წმინდა მოგება უნდა მიმართულიყო სახელმწიფო ბიუჯეტში დივიდენდების სახით, საიდანაც 39,500,000 ლარი ბიუჯეტში ჩარიცხვას ექვემდებარებოდა 2012 წლის განმავლობაში²³.

2012 წელს სახელმწიფო ბიუჯეტში დივიდენდის სახით, ნაცვლად 39,500,000 ლარისა, ჩარიცხა მხოლოდ 15,000,000 ლარი, რის შედეგადაც დაირღვა, როგორც კომისიის გადაწყვეტილება, ასევე ეკონომიკისა და ენერგეტიკის სამინისტროებს შორის შეთანხმებით განსაზღვრული მოთხენები. ფაქტობრივად, სახელმწიფო ბიუჯეტში თანხების ჩარიცხვა დასრულდა 2013 წლის ბოლოს.

ენერგეტიკის სამინისტროს წერილის²⁴ საფუძველზე, 2011 წლის 12 აგვისტოს კორპორაციასა და სსიპ „თბილისის განვითარების ფონდს“ შორის გაფორმდა შეთანხმება²⁵, რომლის შესაბამისად კორპორაციამ დააფინანსა აღმაშენებლის გამზირის N182-ში მდებარე ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის თეატრის შენობის რეაბილიტაციის და რეკონსტრუქციის სამუშაოები. შეთანხმებაში მოცემული თანხების გადარიცხვის გრაფიკის დაცვით 2012 წელს სსიპ „თბილისის განვითარების ფონდში“ 13 იანვარს და 15 თებერვალს გადაირიცხა ყოველ ჯერზე 750,000 ლარი, ხოლო 15 მარტს 700,000 ლარი, საერთო ჯამში 2,200,000 ლარი. აღნიშნული თანხა, შესაბამისი საფუძვლის გარეშე, აღიარებულია, როგორც გაცემული დივიდენდი, რისი უფლებაც კანონმდებლობით²⁶ კორპორაციას არ გააჩნდა.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

2012 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კორპორაციის ბალანსზე ირიცხება 3,789,044 ლარის ისეთი სასაქონლო-მატერიალური მარაგები, რომლებიც 2014 წლის 31 დეკემბრამდე საერთოდ არ არის გახარჯული.

აღსანიშნავია, რომ სასაქონლო მატერიალური მარაგების საერთო ნაშთიდან, 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კორპორაციის ბალანსზე ირიცხება 3,430,064 ლარის ღირებულების 8 დასახელების მარაგი, რომლებზეც დაფიქსირდა უმნიშვნელო ხარჯვა და რომლებიც არ წარმოადგენენ მაგისტრალური გაზსადენების ნორმალური ფუნქციონირებისათვის აუცილებელ საავარიო მარაგებს:

²² 2011 წლის 21 დეკემბერს N 6 ოქმი

²³ საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შორის 2011 წლის 21 დეკემბერს გაფორმებული N17 შეთანხმება

²⁴ ენერგეტიკის სამინისტროს 10.08.2011წ. #01/3277 წერილი

²⁵ შეთანხმება N75-120811-01. 12 აგვისტო 2011 წელი

²⁶ საქართველოს კანონი “საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის” 26¹ მუხლი

დასახელება	თანხა	ერთ	ნარჩენი რაოდ	შესყიდული რაოდენობა	შესყიდვის წელი
აირგ. მილები 720*10 მმ.GOST 20295-85C AKP	264,689	მეტრი	308	31,004	2007
ონკანი 80329ა დუ 500 რუ 80 ტუ-26-07-1450-96	246,840	ცალი	5	31	2007
აირგამ. მილები 530*10 tu14-3p-1471-2002	1,079,392	მეტრი	2,197	7,940	2007
მილები იზოლირებული დ-711.2*10 API-5L*60	216,709	მეტრი	398	37,530	2007-2008
შავი ლით. მუხლ. დ=711.2მმx14მმx15 იზოლირებული	611,130	ცალი	66	103	2008
ჩამკეტი ონკანი დ-219*8 მმ	145,149	ცალი	3	4	2010
სფერული ონკანი DN700 PN80	623,943	ცალი	6	7	2011
მილი დ219.1*5.15	242,212	მეტრი	4,118	4,118	2012
სულ	3,430,064				

რეკომენდაცია N4

ბალანსზე რიცხული და ერთ წელზე დიდი ხნის განმავლობაში გამოუყენებელი სასაქონლო მატერიალური მარაგების ეფექტიანად მართვის უზრუნველყოფის მიზნით, სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციამ“ განახორციელოს მაგისტრალური გაზსადენების ნორმალური ფუნქციონირებისათვის აუცილებელი საავარიო მარაგების იდენტიფიცირება, დასაწყობება და მოვლა-შენახვა, ხოლო დანარჩენ მარაგებთან მიმართებაში იმსჯელოს მათი რეალიზაციის მიზანშეწონილობის შესახებ.

სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციას“ და შპს „ნიუ ენერჯს“ შორის საგურამო-ნავთულდის 700 მმ მაგისტრალური გაზსადენის 20 კმ-დან 50 კმ-მდე მონაკვეთზე სამშენებლო სამუშაოების შესრულების მიზნით გაფორმდა ხელშეკრულება²⁷, რომელიც 2012 წელს შპს „ნიუ ენერჯის“ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო შეწყდა. შპს „ნიუ ენერჯს“ სრულად არ ჰქონდა გამოყენებული (დამონტაჟებული) კორპორაციის მიერ გადაცემული მილები და მასალები. კონტრაქტის თანახმად, შპს „ნიუ ენერჯი“ ვალდებული იყო კორპორაციისთვის საკუთარი ხარჯით დაებრუნებინა გამოუყენებელი მილები და მასალები. აღნიშნულთან დაკავშირებით კორპორაციამ წერილით²⁸ მიმართა შპს „ნიუ ენერჯს“. მიუხედავად ამისა, გამოუყენებელი მილები და მასალები 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ არის დაბრუნებული, ხოლო კორპორაციას აღრიცხული აქვს მარაგებში ჯამური თანხით 417,574 ლარი (დღგ-ს გარეშე).

2013 წელს კორპორაციამ, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, შპს „ნიუ ენერჯის“ წინააღმდეგ შეიტანა სარჩელი სასამართლოში, თუმცა სასარჩელო განცხადების განხილვა 2016 წლის 30 ივნისის მდგომარეობით არ განხორციელებულა.

რეკომენდაცია N5

სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციამ“ სასაქონლო მატერიალური მარაგების შესყიდვისთვის დაგეგმოს შესაძენი მარაგების რაოდენობა საჭიროებიდან გამომდინარე. აღნიშნულის შედეგად კორპორაციაში აღარ იარსებებს გამოუყენებელი მარაგები, რაც უზრუნველყოფს რესურსების ეფექტიან გამოყენებას.

²⁷ 07.04.2011 გაფორმებული ხელშეკრულება N63-070411-01

²⁸ 09.11.2012 N0911-5-12-03/4 წერილი

2012-2014 წლებში კორპორაციის ავტომატური დამონტაჟებული იყო GPS სისტემა, თუმცა კორპორაცია არ ინახავს GPS სისტემის მონაცემებს.

რეკომენდაცია N6

სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციამ“ უზრუნველყოს GPS სისტემის მონაცემების შენახვა ორგანიზაციაში მოქმედი დაარქივების წესის შესაბამისად, რათა შესაძლებელი იყოს საწვავის ხარჯის მიზნობრიობის დადასტურება.

ობლიგაციებით მოზიდული სახსრების განკარგვა

სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციას“ და შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიუროს“ შორის 2012 წლის 5 სექტემბერსა და 2012 წლის 27 სექტემბერს გაფორმებული სასესხო ხელშეკრულებებით, ბიურომ კორპორაციისაგან მიიღო 15,000,000 აშშ დოლარის და 13,500,000 აშშ დოლარის ოდენობის სესხი წლიური 11%-იანი განაკვეთით (სულ ჯამში 28,500,000 აშშ დოლარი). სასესხო ხელშეკრულებით²⁹ თანხის სრულად დაფარვა უნდა განხორციელებულიყო ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან არა უგვიანეს ერთი წლის განმავლობაში. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის გამო 2013 წლის 10 ოქტომბრის მდგომარეობით ვალის ძირითადი თანხიდან გადაუხდელი იყო 26,443,929 ლარი.

მსესხებლის ფინანსური პრობლემის გამო, შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიუროსა“ და კორპორაციას შორის 2014 წლის 21 მაისს გაფორმდა ხელშეკრულება, რისი მეშვეობითაც მოხდა ძირითადი ვალის დარჩენილი ნაწილის (26,443,928 აშშ დოლარი) რესტრუქტურიზაცია. მსესხებელმა ნაკისრი ვალდებულებების უზრუნველსაყოფად კორპორაციის სასარგებლოდ გირავნობის უფლებით დატვირთა შპს „ბათუმი თაუერის“ 100% წილი. გირავნობის ხელშეკრულების³⁰ მე-5 მუხლით დამგირავებელი ვალდებული იყო ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში შეენარჩუნებინა გირავნობის საგნის ღირებულება (85,738,000 ლარი), თუმცა 2015 წლის 6 აპრილს შპს „ბათუმი თაუერის“ ქონება გასხვისებულია 25,004,426 აშშ დოლარად, რის გამოც მნიშვნელოვნად შემცირდა გირავნობის ხელშეკრულების გაფორმების მომენტისათვის გირავნობის საგნის საბაზრო ღირებულება.

კორპორაციამ შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიუროზე“ 28,500,000 ლარის ოდენობის სესხი გასცა 2012 წლის 16 მაისს ლონდონის საფონდო ბირჟაზე გამოშვებული 250,000,000 აშშ დოლარის ღირებულების ობლიგაციებით მოზიდული სახსრებიდან, თუმცა ხელშეკრულებით³¹ განსაზღვრულია კორპორაციის მიერ ევრო ობლიგაციებიდან მიღებული თანხის მიზნობრიობა. ფასიანი ქაღალდების გაყიდვიდან მიღებული თანხა (დაახლოებით, 245,939,050 აშშ დოლარი) მთლიანად ან მისი უდიდესი ნაწილი უნდა გამოყენებულიყო „ნამახვანის“ ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის პირველი ეტაპისათვის. კორპორაციას აღნიშნული თანხა ასევე შეეძლო გამოეყენებინა თავის საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა მიზნებისათვის.

²⁹ კორპორაციასა და შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიუროს“ შორის 2012 წლის 5 და 27 სექტემბრს გაფორმებული, N75-050912-01 და N75-270912-02 ხელშეკრულებები.

³⁰ 30.05.2014 N75-300514-02 ხელშეკრულება

³¹ http://www.rns-pdf.londonstockexchange.com/rns/1669D_-2012-5-11.pdf

აუდიტორთა ხელმოწერები:

ნოდარ ვეკუა (ჯგუფის უფროსი)


გიორგი ბერუაშვილი

რაინ ყუფუნია

ელენე ელიაზარაშვილი

თენგიზ თევდორაძე

სოფიო კობახიძე

The image shows five handwritten signatures in blue ink, arranged vertically and corresponding to the names listed on the left. The signatures are: 1. A signature for Nodar Vekua, which includes the word 'ნოდარ' written above the main signature. 2. A signature for Giorgi Berushvili. 3. A signature for Rain Kufunia. 4. A signature for Elena Eliashvili. 5. A signature for Tengiz Tevdoradze.